№ 61. 18 მარტი, კვირა. 1866—1884 18 მარტი, კვირა. № 61.

«დროების» რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ., 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

«დროება» თითო ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:
ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,
ბათუმში—ალიხეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,
გორში—საზოგადოების დეპოში,
ხაშურში—რკინი-გზის ბუფეთში—ძნელაძესთან.

## ქალაქის თვით-მართველობა და მისდამი მინდობილი სწავლის საქმე

თბილისი, 18 მარტს.

ადამიანის ბუნება აუვსებელი სარწყაოა. იგი არა სჯერდება იმას, რაცა აქვს და ყოველთვის ახლისადმი მიილტვის, ახლის მოპოვება სურს. საზოგადო ცხოვრებაშიაც ასეა: აქაც ეხლანდელი წეს-წყობილებით არავინ კმაყოფილდება და ზოგნი თითო ნაბიჯობით მაინც ფეხის წინ-წადგმასა ცდილობენ; ზოგნი კი მომავალში არ ეძიებენ საუკეთესო იდეალს, წარსულს ჩასციებიან და იქ იმისთანა მოვლენაში ჰპოვებენ წყაროს ცხოვრებისას, რომელიც ვერას გზით ვერ დააკმაყოფილებს მის ათას გვარს მოთხოვნილებას.

ავიღოთ ამ საზოგადო ბაასის განსამარტებლად ერობისა და ქალაქების თვით-მმართველობის საქმე. ამ თვით-მმართველობას ბევრი მკიცხავი და მოსაყვედურე ჰყავს, მაგრამ ამ უკანასკნელთა შორის ორი მიმართულება თვალ-საჩინოდ გამოირჩევა: ერთნი იმიტომ ჰკიცხავენ თვით-მმართველობას, რომ გული სტკივათ მისთვის. გული სტკივათ, რომ თვით-მმართველობა ვერ ასრულებს წესიერად ყოველივე თავის დანიშნულებას, ხშირად მისნი წევრნი პირადობას მისდევენ და ამით თვით-საქმეს ჩირქსა სცხებენ. ამ გვარს საქციელს, რა თქმა უნდა, რომ გაკიცხვა ეჭირვება და ვინც კი ასე იქცევა, მას ეს სიკეთითა და გულის-ტკივილით მოსდის. მეორენი უფრო სხვა განზრახვითა მოქმედობენ. მათ სძულთ თვით-მმართველობა და უხარიანთ, როდესაც რაიმე ნაკლულევანებას შეამჩნევენ; იგინი თავზედ ნაცარ-წაყრილნი გამოდიან მოედანზედ, სტირიან ნეტარს ძველს დროს, როდესაც თვით-მმართველობის სახელიც კი არსად გაისმოდა და მცხოვრებლების ავი და კარგი, ხშირად მათი სიცოცხლეც, რომელიმე გამოთაყვანებული «ისპრავნიკის» ან «ზასედატლის» ხელში იყო.

მაგრამ რაც უნდა შევიწროებაში იყოს, რაც უნდა სხვა-და-სხვა მიზეზები ხელს უშლიდენ თვით-მმართველობას, მაინც ამ უკანასკნელმა ბევრი სიკეთე მოუტანა საზოგადოებას და კიდევაც ბევრს მოუტანს. ჩვენ აქ თავს ვანებებთ ერობას, რადგან ამის შესაფერ მაგალითებს ჩვენის ცხოვრებიდამ ვერას მოვიყვანთ და თვალს და თვალს გადავავლებთ, თუ რა სამსახური გაუწია თბილისის თვით-მმართველობამ თუნდა სწავლა-განათლების საქმეს.

მაგრამ ვიდრე ჩვენს ქალაქს შევეხებოდეთ, გული არ გვითმენს, რომ ერთი შორეული, მაგრამ მეტის-მეტად თვალსაჩინო მაგალითი არ წავაკითხოთ ჩვენს მკითხველებს ამავე სფერიდამ.

1877 წლამდე პეტერბურგის საქალაქო სასწავლებლები დირექციის ხელში იყვნენ. მათი რიცხვი ამ წლამდე 16-ს არ აღემატებოდა. ამ წელს კი ეს სასწავლებლები ქალაქის თვით-მმართველობას გადაეცა, და ამ უკანასკნელმა გაამართლა ანდაზად თქმული, რომ თვეობით გაზრდა შეიძლება დღეობით გაზრდად გადაიქცესო. უწინ 16 სასწავლებელზედ ქალაქი ხარჯავდა სულ 14,571 მანათს. მასწავლებლები უმეცარნი იყვნენ, და ან ვინ წავიდოდა 171 მანათისა და რამდენიმე კაპეიკის წლიურს ჯამაგირზე! შენობები სასწავლებლებისა საძაგელნი იყვნენ; შაგირდებს წიგნები არა ჰქონდათ, მებელიც უვარგისი იყო. 1877 წლიდამ კი სკოლებს ფერი ეცვალათ: 1880 წლისთვის ქალაქს 80 სკოლა ჰქონდა; შენობებიც კარგები უშოვნეს; სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო ნივთები უხვად ურიგდებოდა შეგირდებს; მებელი ყოველი მოთხოვნილებას ჰიგიენისას აკმაყოფილებდა; მასწავლებლებს წელიწადში 600 მან. ეძლეოდათ. ერთის სიტყვით, ქალაქი 150,000 მანათზე მეტსა ხარჯავდა ამ წმინდა საქმეზე. ეხლა კიდევ უფრო ჩინებულად არის დაყენებული: სკოლების რიცხვი 180-ია და ხარჯი მათზე—350,000 მანათი.

მკითხველი ცხადადა ჰხედავს, რომ პეტერბურგის თვით-სამმართველომ იგრძნო აუცილებელი საჭიროება განათლებისა და უმთავრესი თვისი ღონე ამას მოახმარა. ამასვე ვერ ვიტყვით ჩვენი თბილისის გამგეობაზე, მაგრამ უკანასკნელს ხანს ამანაც საქებურ გულ-უხვობა და შორს-გამჭვრეტელობა გამოიჩინა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ხარჯზედ არსებობს სახელოსნო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლა ბავშვების დედა-ენაზედ მიდის, ქალაქმა გამართა შვიდი პირველ-დაწყებითი სასწავლებელიც, რომლებშიაც აგრეთვე ბავშვების დედა-ენაზედ ასწავლიან.

ეს უკანასკნელი გარემოება მეტად შესანიშნავია. გამგეობამ არა თუ მარტო იმაზედ იზრუნა, რომ სკოლების რიცხვი გაემრავლებინა, ან, უფრო მართალი იქნება ვსთქვათ, დაეწყო სკოლების დაარსება, მან შეიძლო იმაზედაც ზრუნვა, რომ სწავლა საუკეთესოდ მოეწყო და პედაგოგიის არც ერთი კანონი არ დარღვეულიყო. წარსული კვირის სხდომაზედ როგორც გამგეობამ, ისე თვით საბჭომ თავიანთ ბაასითა და გახმაუ-

## «დროების» ფელეტონი, 18 მარტი.

### კეთილი და ბოროტი

კეთილს, უძლურად მიმომსვლელს
ამ მუხთალ ქვეყანაზედა,
გარისხებული ბოროტი
გადაეღობა გზაზედა.

კეთილმა უთხრა: «ბოროტო,
მარჯვედ მიდგიხარ კვალშიო,
მაგრამ იცოდე, უწყალოდ
დაგამტვრევ მომავალშიო.

შენ უძლურდები და ჰკვდები,
ვეღარ ჰგრძნობ დღეთა გრძელსაო
და ცეცხლის ალ-მურს მოგიდებ,
როს გავიმაგრებ წელსაო.

რა რომ შენ ამა ქვეყნიდამ
აგეკვეთება ფეხიო,
მეფობას ვიწყებ კეთილი,
მე ბოროტისთვის მეხიო!»

პასუხად გასცა ბოროტმა:
«არ მეშინია შენიო!
ჩემი მოსარჩლე არიან
ყველა ადამის ძენიო.

მყავს ჯაშუშები ურიცხვი,
სულით იგრძნობენ ყველასო,
—o—
რასაც მოქმედობ—და მაშინ
ვაი შენ ბედის წერასო!

მინამ ვსცოცხლებ, ვერას გზით
მე შენ ვერ მომიშორებო
და ამ წამშიდაც უძლურსა
მიწასთან გაგასწორებო!»

კეთილს შეება ბოროტი
და გადაყლაპა წამზედა,
და წინანდულად მეფობა
იწყო მან ქვეყანაზედა.

ცახელი.

### თბილისის მწარე დღენი

დალოცა ღმერთმა არშინი და სასწორი!.. რამდენი სიკეთე გაუწევიათ მათ კაცისთვის, რომელსაც არა აქვს შნო ერთი-ორი გროშის დანაფასევი სასარგებლო საქმის გაკეთებისა. უარშინ-სასწოროდ ასეთი კაცი სიმშილით მოკვდებოდა და სახლობის მოშენება ხომ აზრადაც აღარ მოუვიდოდა. მაგრამ, რადგან ღმერთს, ყველა სხვა სიკეთესთან, არშინი და სასწორიც მიუცია ქვეყნისთვის, ასეთი კაცი ორი ხელით დასჭიდებია მათ და კაი ლუკმაც გაუკრავს ცხოვრების სანადიმოში. ასე რომ იმას სახლობითაც დაუტკბია დღენი თვისნი, ბევრი კაი სიკეთეც გაუწევია თავისი ნათესაობისთვის, უფრო მომეტებული ავ-კაცობაც ჩაუდენია ქვეყნისთვის და სიკვდილის დროს იმ ბედნიერი იმედით დაულევია სული თვისი, რომ იმის ერთგული არშინი და დამსახურებული სასწორი უპატრონოდ არ დარჩებიან, რომ ისინი ჩაცვივდებიან ახლა იმის დახელოვნებული შვილების ხელში...

* * *

არშინი ისეთს სავაჭრო იარაღსა ჰქვიან, რომელსაც კანონით 16 გოჯი სიგძე უნდა ჰქონდეს, მაგრამ უკანონოდ კი შეიძლება 14-15 გოჯზედაც დაყაბულდეს. მეტადრე ჩვენს დალოცვილს დროს და დაუდევარს ქვეყანაში. თითო არშინ მატერიაში თითო-ოროლა გოჯი დიდს თაბაუთს დაიჭერს, თქვენმა მზემ—ვინ იცის, რამდენი ათასი არშინი გაჰყიდო წელიწადში! თუ ვინიცობაა «კლიაუზნიკი» მუშტარი შეგხვდა და არშინის კანონიერი ზომა მოგთხოვა, იქაც იგივე არშინი, თუნდაც კანონიერი ზომისა, გაგიწევს ძმურს სამსახურს. თუ ხელი მიჩვეული გაქვს, მატერიაზე არშინი ისე ცურავს, თითქო გველი იყოსო. მასთან თითონ მატერიაც გწევს სამსახურს—გაჭიმე, დახევისა ნუ გეშინიან, რეზინივით გაიწევს. აბა შენცა და გაძლე «კლიაუზნიკის» მუშტრის თვალი; დაიჭით ხელი ნამდვილი არშინი, არა უშავს-რა—იქაც ნაკლებ გოჯებს არ გამორჩები.

აგრეთვე დალოცვილია სასწორიც. გირვანქაში 96 მისხალი უნდა იყოსო, გეუბნება კანონი. ახლა, რა საჭიროა, რომ თუოდ 96 მისხალი არ იყოს! მითამ, განა არ შეიძლება 90 მისხალიყოს გირვანქაში? ასე შეიძლება, როგორც მზე მაღლაა! შეიძლება მარტო 80 მისხალიც იყოს. შენ ხელთ არ არის ბეჭედ დარტყმული, შემოწმებული, ასე ვთქვათ, პასპორტ-ნაკრავი გირვანქიანი ქვა ხეხე, რამდენიც გინდეს, მინამ 80 მისხალზე არ ჩამოვანო. თუ ვინმემ ქვა დაგიწუნა, იხარ—ძირიდამ გაცვეთილია-თქო.

* * *

სხვაში რომ ყველაფერში შნო-გაწყვეტილი იყო, მარტო არშინი და სასწორი გაგამდიდრებს, მხარში ბოძად ამოგიდგება კაცად გაგცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით დაამტკიცეს რომ მათ უნდათ არა მარტო სასწავლებლების გამრავლება, არამედ სწავლის რიგიანს პროგრამაზედ დაყენებაც.

რა თქმა უნდა რომ ყოველი გაგებული და რიგიანი კაცი გამგეობას ხელს შეუწყობს ამ ყოვლად პატიოსან საქმეში და წმიდის გულით უსურვებს გამარჯვებას ამ ეკლიანს ასპარეზზედ.

## შინაური ქრონიკა

დღეს, 18 მარტს, დანიშნულია საზოგადო წლიური კრება თბილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა კლუბის დიდს ზალაში (მუხრანსკის სახლში). სხვათა საქმეთა შორის ამ წლიურ კრებაზეთ განიხილება შემდეგი წინადადება ამ კრედიტის საზოგადოების გამგეობისა: «საზოგადოების» წევრებს უფლება აქვთ ერთი ათად მეტი ისესხონ ამ «საზოგადოებისაგან» მათგან შეტანილ საწევრო ფულზედ. მაგ., ვისაც საწევრო ფული 100 მან. აქვს შეტანილი, იმას 1000 მანათისა კრედიტი აქვს; ვისიც საწევრო ფული 300 მანათია, იმის კრედიტი 3000-მდეა და სხვ. ახლა კრედიტის საზოგადოების რჩევას საჭიროდ დაუნახავს, რომ საწევრო ფული გაადიდოს და კრედიტი ისევ იგივე დარჩეს, ე. ი. ვისაც 100 მან. აქვს, იმან უნდა კიდევ 100 მ. შემოიტანოს, თუ უნდა რომ უწინდელ კრედიტით სარგებლობდეს; ვისაც 300 მან. აქვს, იმან 300 მან. კიდევ სხვა უნდა შემოიტანოს, ე. ი.. ბანკურის ენით რომ ვსთქვათ, აქამდის 10%-ის შეტანა იყო საჭირო კრედიტისათვის და ეხლა 20% იქნება საჭირო. რჩევას ეს ცვლილება საჭიროდ დაუნახავს «საზოგადოების» დამკვიდრებისათვის და უმეტესის ნდობის მოპოვებისათვის ხალხში.

განჯის გუბერნიაში, ნუხას იქით, არის ერთი პატარა ადგილი, რომელიც უდინებს უჭირავთ. უდინების სახელი იქნება ბევრს არც კი გაეგონოს, მაგრამ ეს ხალხი წმინდა ქართველები არიან ჟამთა ვითარებისაგან შორეულ ქვეყანაში გადაკარგულნი და თავიანთ სისხლსა და ხორცთან კავშირ მოწყვეტილნი. აი რა სიტყვებით აგვიწერს ამ უდინების მდგომარეობას ერთი მათში მოსახლე პატივცემული პირი: «უდინების რიცხვი ათი ათასამდეა. ესენი სცხოვრობენ განმარტოებულნი განჯის გუბერნიაში, უცხო რჯულის ხალხით გარე შემოზღუდულნი. არა ჰყავთ პატრონი, არა აქვთ სკოლები, არა იციან-რა ქვეყნიერობისა, არა იციან-რა ენისა, რომელზედაც ვლოცულობთ. ქართველები არიან და ქართველობა კი აღარაფერში ეტყობათ. მართლ-მადიდებლობის გამავრცელებელ საზოგადოებას ჰქონდა აქ სკოლა გამართული, მაგრამ ამ სკოლის დაკეტისათანავე თითქმის სრულიად მოისპობა კავშირი ქვეყნიერებასთან. იქნება «წერა-კითხვის საზოგადოებამ» «როგორმე შეიძლოს და მოხედოს გულ-მტკივნეულის თვალით ამ გადმოკარგულს მხარეს».

ჩვენ შევიტყეთ, რომ «წერა-კითხვის საზოგადოებას» უკანასკნელს პირველის მარტის ტირაჟში 500 მან. მოუგია ერთ მომგებ ბილეთზედ.

## სამართალი.

(არტელშჩიკების დაჭრისა და გაცარცვის საქმე)

გორი 12 მარტს.

გორში ოლქის სამსჯავროს განყოფილებაში გაარჩიეს საქმე აზნაურის დგებუაძისა, გლეხთა გუგუშვილისა და მეფაეტონე მესხისა. პირველ ორს ბრალდებოდა რკინის გზაზე არტელშჩიკების მამზინის და ხოჯა-ბარანოვის გაცარცვა და მათივე დაჭრა; ხოლო მესხს—განაცარცვი ფულების დამალვა, რომელიც დგებუაძეს და გუგუშვილს მესხის ფაეტონში დარჩათ.

ამ საქმის გარემოება «დროების» მკითხველებმა წარსული წლის ცნობებიდგან უკვე იციან, მაგრამ ვალად ვსთვლი მოკლედ გავიმეორო საქმის გარემოება.

აი მათი გამამტყუნებელი ოქმის შინაარსი:

19 ნოემბერს 1882 წ. არტელშჩიკები მამზინი და ხოჯა-ბარანოვი წამოვიდნენ თბილისიდგან მატარებლით, რომელიც იმ ჟამად გამოდიოდა ნაშუადღევს მეხუთე საათის ნახევარზე; მათ მოჰქონდათ თან 17,000 მანეთამდის ფული, გზაზე მოსამსახურე მაშინისტების და ქარხნებში მოხელეებისთვის ჯამაგირის დასარიგებლად. მამზინი და ხოჯა-ბარანოვი ისხდნენ მეორე კლასის ვაგონში. მცხეთის სტანციაში იმავ ვაგონში დაჯდა ერთი კაცი, რომელსაც ჩოხაზე მოშაო პალტო ეცვა; როდესაც გორის სტანციიდგან მატარებელი ქარელისკენ გავიდა, ის კაცი, რომელიც იმ ვაგონში იჯდა, სადაც არტელშჩიკები იყვნენ, აღარ შემოსულა იმ ვაგონში, თუმცა მეორე კლასის ბილეთი გომის სტანციამდე ჰქონდა. კონდუქტორებმა ჩამოიარეს ბილეთების გასასინჯავად და ის მეორე კლასის ვაგონში მჯდომი პირი ნახეს გარეთ მდგომი, ვაგონის წინ; კონდუქტორებმა სთხოვეს ვაგონში შესვლა; ამავე კაცის პირ-და-პირ მეორე ვაგონის წინ იყო ერთი ახალგაზდა, რომელსაც ჩოხა ეცვა; ეს უკანასკნელი აღმოჩნდა უბილეთო და უფროსმა კონდუქტორმა უთხრა თავის თანაშემწეს, რომ იგი ქარელის სტანციაში წარედგინა ბილეთის ფასის გარდასახდელად; ამის შემდეგ კონდუქტორები შევიდნენ სხვა ვაგონში, სადაც მიიყვანეს უბილეთოც; მეორე კლასის ბილეთიანი თავის ადგილზე შევიდა. კონდუქტორებმა, როცა იმ ვაგონში ბილეთების გასინჯვა გაათავეს, სხვა ვაგონში გავიდნენ, ხოლო ის უბილეთო და ერთი სხვაც გავიდნენ მეორე კლასის ვაგონში, სადაც, ამ ვაგონში მჯდომ მეორე კლასის ბილეთიანთან ერთად დაეცნენ არტელშჩიკებს კეტითა და ხმლებით. არტელშჩიკები, როდესაც რამდენიმე მძიმე ჭრილობების შემდეგ უგრძნობლად დაეცნენ, ავაზაკებმა ერთბაშად წაართვეს ფულიანი ჩემოდნები, ერთი მათგანი მამზინი ვაგონიდგან გარედ გადააგდეს და შემდეგ გაიქცნენ.

დგებუაძე და გუგუშვილი ამ ამბის შემდეგ მეშვიდე დღეს მივიდნენ ქუთაისის ახლოს სვიმონეთის უწინდელ ფოსტის სტანციასთან, სადაც შეხვდათ ცარიელი ფაეტონი, ქუთაისს მიმავალი; რადგან ძალიან დაღალულები იყვნენ—გაურიგდნენ მეფაეტო-

---

მაგას ხომ არც ჭკუა უნდა, არც მოხერხება, არც სასწავლი, არც შრომა და არც ჯაფა. ჯექი შენთვის და კენკე ბაბაზები. მერე, როცა კარგა დრო და ხანი გავლის, როცა შენი ჯიბე ისე გაიტენება, რომ ჰდევა აღარ ექნება, მაშინ... მაშინ ყველა იტყვის, რომ შენ დიდი ჭკუისა და ჯაფის კაცი ჰყოფილხარ, ამიტომ შენთვის მზაა პატივის-ცემა, ქება-დიდება, ფიანდაზებ და კიდევ ბევრი რამ სხვა...

* * *

ასე იყო უწინ... ასი მადლიერის თვალით შეჰყურებდა დღემდის ჩვენი ქალაქი არშინსა და სასწორს. თბილისი ვაჭრობის ქალაქი იყო. ვისაც არ გინდოდა, არშინი ჰქონდა წელში გაყრილი, სასწორი ეჭირა ხელში და ისე ვლიდ ცხოვრების გზა-ტკეცილს. მერე, მუშტარიც ბრმა იყო და თანაც ძალიან ლომა, უთვალავი. ჩვენს ქალაქში რამდენსაც უნდა დაეჭირა სასწორი მაინც ვერ აწონდა დილიდამ საღამომდის იმ საქონელს, რომელსაც ხოულობდა მაშინდელი მუშტარი. რამდენი არშინიც უნდა ყოფილა გალაშქრული მატერიის გასაზომად, ჩვენი ვაჭრები ვერ ახერხებდ გაეზომათ, რაც კი გასაზომი და გასაყიდი იყო. მეორე დღისთვის გადასდებდნენ ხოლმე «ნედოიმკად». აფსუს, სადღაა ეხლა ეს სანატრელი «ნედოიმკა»! იღებ ხელში სასწორს ზლაზვნით და თანაც წელი გწყდება. რას უნდა გაჰხდე დღევანდელს უმუშტრობაში! ძალად აგვიანებ ზომას, რა არის თავი მოატყუო, ვითომ ბევრი რამ გაგეყიდოს, აგრეთვე მტერსაც თვალები დაუბრმავო. მაგრამ ვის მოატყუებ! ათჯერაც რომ გაზომო, მაინც ყველა გატყობს გულის სიმწარეს, და ან იმდენს რას გამოარჩები ამ ზომით, როდესაც დღეში ოცსა და ორმოც არშინზე მეტს ვერ გაჰყიდი. აქ მუშტრის მოტყუებამ რა უნდა დაიჭიროს...

* * *

ეხლა არშინსა და სასწორს აღარ შეუძლიანთ უწინდელი ამაგის დადება ჩვენისთანა გაურჯელი ხალხისათვის. თბილისი ეხლა ხელს შეუწყობს არა ისეთ კაცს, რომელიც წელ-აუხრელი, დაზანტებული და მორგვივით დამრგვალებული ძევს დარაბებზე გაშლილს ქეჩაზე და ყალბი იარაღითა ვაჭრობს, უცოდინარი მუშტრით გარშემოხვეული; არა, დღეს თბილისს ევროპიელი ქალაქების გარემოება დაატყდა თავს, მეტადრე ამ ბაქოს გზის გაყვანის შემდეგ. თბილისს უნდა კაცი გამრჯე, მარდი, ცქვიტი, მალხაზი, მშრომელი და მწარმოებელი რაიმე ნივთისა. იგი დღეს თითონ უნდა გახდეს რაიმე საქონლის მკეთებლად, რომ თბილისის ნაწარმოები გაჰქონდეთ ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და სოფლებს, სხვაგნიდამ მოტანას. თორემ თუკი თბილისი ვერას გააკეთებს და უწინდებურად სხვათა საქონლის მოტანითა და გაყიდვით მოინდომებს ცხოვრებას, ეხლა ამას აღარავინ უყაბულებს, ეხლა თითონაც ადვილად ითავებენ ამისთანა უბრალო ხელობას და თბილისი ყბა-დაღებული დარჩება ცხოვრების ასპარეზზე...

* * *

აქ ჩვენ ვიმეორებთ იმავე აზრსა, რომელიც იმ დღესა გვქონდა გამოთქმული თბილისის დღევანდელს ეკონომიურს მდგომარეობაზე. ეს აზრი ისეთი სუსხიანი და მწვავეა, რომ მისი გამეორება, გამესამება და გამეოცებაც კი უადგილო არ იქნება ჩვენი ქალაქის წარმატებისათვის. მერე შესაძლებელია მისი წარმატება, თუ არა? მოსახერხებელია, რომ თბილისი უწინდებურად ისევ ყელმოღერებული და გათამამებული თავი-ქალაქი იყოს ამიერ-კავკასიაში და ფერს აძლევდეს სხვა ქალაქებს, თუ იგი უნდა დაეცეს ძირს, მოიდრიკოს მუხლი და სხვა რომელსამე ქალაქს დაუთმოს პირველობა?

დამეთანხმებით, რომ ეს მეტად დიდი კითხვაა არა მარტო თითონ თბილისის ბედ-იღბლის შესახებ, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისა. რაც უნდა იყოს, თბილისი ჩვენი დედა-ქალაქია. მასთან არის შეხორცებული მთელი ჩვენი წარსული და აწმყო. მისი სიდიდე ჩვენც გვაცხობს სიკეთეს, მისი დაცემა ხელს შეუწყობს მთელი ჩვენი სამშობლოს დაცემასაც.

ან ჯერ მაინც მაშინ რა ხმა გვქონდა, როდესაც თბილისი ჯერ ისევ თბილისობდა. ის რომ დაეცეს, მაშინ სულ ნარიყალაზე გაველთ. მაშინ არამც თუ ჩვენ დაგვეკარგება ჩვენი თავის იმედი, სხვებიც აღარად ჩაგვაგდებენ, ერთი სიტყვით, აბრუ გაგვიტყდება.

ამიტომ, ვიმეორებ, თბილისის მდგომარეობა ჩვენგან ითხოვს ძალიან დიდს ყურადღებას.

* * *

ჩვენის აზრით, თბილისის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთი ბედნიერია, რომ მის მომავალზედ არ უნდა მივსცეთ თავი სასოწარკვეთილებას. ჩვენა ვფიქრობთ, რომ თბილისს მაინც თავი ადგილი ეჭირება ამიერ-კავკა-

ნეს და წავიდენ ქუთაისში, სადაც მათ, ყაბალახში გახვეული ფული ფაეტონში დარჩათ. ზუგუშვილმა და დგებუაძემ დაიწყეს იმ მეფაეტონეს ძებნა და გაავრცელეს ნაცნობებთან ხმა, რომ იმ ფაეტონში ძალიან ძვირფასი ნივთები და ქაღალდები დარჩათ, ზოგს კიდევაც გამოუტყდენ თავიანთ ჩადენილ საქმეს, მაგრამ მეფაეტონე ველარა ნახეს. ეს ამბავი შეიტყო პოლიციამ და დაიწყო, როგორც ზუგუშვილის და დგებუაძის ძებნა, ისე იმ მეფაეტონესი, მაგრამ ქუთაისში ისინი ველარა ნახეს. მეფაეტონე მესხს ეყიდა ნივთები და ტანისამოსი, ღირებული ათას მანეთამდე და დაუყოვნებლივ თავის სოფელში წასულიყო. პოლიციამ თუმცა ვერა ნახა ის პირები, მაგრამ მათი ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი შეიტყო. მასუკან ფიცხლად აცნობა მათი მაზრების (ზუგუშვილი და დგებუაძე ახალ-სენაკელნი, მესხი კი ზუგდიდელი) უფროსებს, რომ მათთვის თვალი ედევნებინათ. როდესაც მივიდენ თავ-თავიანთ სახლებში, იქ ყველანი პოლიციამ დაატუსაღა. მესხს აღმოუჩნდა ათასი მანეთის ახლად ნაყიდი ნივთები; ეგრეთვე ეყიდნა სახლიც, ფული ხუთ თუმანზე მეტი არ აღმოსჩენია. მასუკან მესხი სადღაც გაქცეულიყო და დღესაც არსაიდამ სჩანს. როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე ოლქის სამმართველოში ზუგუშვილი და დგებუაძე გამოტყდენ თავიანთ დანაშაულობაში და უმატებდენ, რომ ვითომც არტელშჩიკებს მათთან წინად მოლაპარაკება ჰქონოდესთ, რომ ამა და ამ რიცხვს, საღამოს მატარებლით გამოვალთ ტფილისიდამ და ამდენ ფულს თან წამოვიღებთო, თქვენ დაგვესხით თავს, ცოტათი დაგვჭერით და ჩვენ ფულს დაგანებებთო; შემდეგ ჩამოდით ტფილისში და გავიყოთო; მაგრამ ეს ჩვენება არ დამტკიცდა მით, რომ არტელშჩიკები თითქმის სასიკვდილოდ იყვნენ დაჭრილნი, როგორც ექიმების მოწმობიდგან სჩანდა და ეგრეთვე არტელშჩიკებს ბრალდებულებთან არავითარი ნაცნობობა არ ჰქონიათ.

რკინის გზის საზოგადოების მხრით მოსარჩლე ბ. ჭყონია სამოქალაქო წესით თხოულობდა, რომ დაკარგული ფული გარდაეხდევინებინათ დამნაშავეთა: ზუგუშვილის, დგებუაძის და მესხისათვის *).

შემდეგ მოიხმეს მოწმები, რომელნიც ამ საქმისთვის იყვნენ დაბარებულნი.

სულ 36 მოწამე მათ რიცხვში არ გამოცხადებულან ექვსიოდე. უმეტესი რიცხვი მოწმებისა სამსჯავრომ, უკითხავად განათავისუფლა,(?) დანაშთენებს ჩამოართვეს ჩვენება და ყველამ თავიანთი პირველი ჩვენება დაახლოვებით უცვლელად **) განიმეორეს სამსჯავროშიაც.

როდესაც გაათავეს მოწმების ჩვენების ჩამორთმევა, შემდეგ ბ. პროკურორის, რკინის გზის მოსარჩლის ბ. ჭყონიას და ბრალდებულთ მოსარჩლის ბ. საზანოვის ბაასისა, სამსჯავრომ გარდუწყვიტა დამნაშავეთ დასჯა: აზნაურს დგებუაძეს და გლეხს ზუგუშვილს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა ექვსი წლის ვადით. მეფაეტონე მესხს: ზოგიერთა ღირსების ჩამორთმევა და რვა თვე სატუსაღოში ყოფნა. დაკარგული ფულიდგან ორი ათას ხუთას მანეთამდე იპოვეს ზოგი ვაგონში, სადაც არტელშჩიკები დასჭრეს და ზოგი გზის ნაპირას დაბნეოდათ ავაზაკებს გახსნილი ჩემადნიდგან; დანარჩენი ფული **14,500** მანეთი და რამდენიმე კაპეიკი უნდა იზღონ ბრალდებულებმა დგებუაძემ და ზუგუშვილმა, აგრეთვე ხარჯი ყოველივე საქმის საწარმოებელი; და უკეთუ მათ არ შეუძლიათ, მაშინ მესხმაც უნდა იკისროს გარდახდა; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამთავეს არ შეუძლიათ, დანახარჯს ხაზინა იკისრებს.

*) გასაკვირველია, რომ ბ. დანილოვი, რომელიც არის კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზაზე ვექილად და 18,000 მანეთამდე წელიწადში ჯამაგირს ღებულობს, საყურადღებო საქმის დაცვით თავს არ იწუხებს და მხოლოდ თუ ვინმე საწყალმა სამსახურში დამახინჯებულმა მოსამსახურემ (ვამბობ რკინის გზისაზე) ითხოვა სასამართლოში სამართლის მაღით რამე საზრდო თავის სარჩენად, რადგანაც სამსახურის აღსრულებისთვის დაჰკარგა ჯანის სიმრთელე, ან ხელი, ან ფეხი, მხოლოდ მაშინ გამოილაშქრებს ხოლმე.

**) თარჯიმნად იყო ვიღაც სამსახურიდგან გამოსული და ისე ცუდად თარგმნიდა ბრალდებულებისა და მოწმების ჩვენებას, რომ უკანასკნელნი იძულებულნი შეიქნენ უთარჯიმნოდ ელაპარაკნათ.

## სხვა-და-სხვა ამბები.

**დინამიტის ზარბაზანი.** ერთი ამერიკელი, სახელად მიფინგი, აკეთებს თურმე ისეთს ზარბაზანს, რომელშიაც შესაძლო იქნეს დინამიტის ხმარება. ასეთს ზარბაზანსაო, ამბობენ მცოდნე პირნი, დიდი მომავალი ექნება სამხედრო და ზღვის საქმეებში, თუ კი მისი გაკეთება მოხერხდაო. მიფინგს უნდა, რომ შეკუმშული ჰაერით მოახერხოს დინამიტის გასროლა, რადგან თოფის წამალი ყოვლად გამოუსადეგია ამ საქმეში, ამიტომ რომ თოფის-წამლის ფეთქებით იფეთქებს მაშინვე დინამიტიც და ერთ წამს გაჰხეთქავს თითონ ზარბაზანს. მიფინგი აკეთებს თურმე ისეთს ზარბაზანს, რომელშიაც ჩაიდებოდეს სამი გირვანქა დინამიტი და გასროლით ისროდეს სამს ვერსზე.

თუ გამოცდამ არ გაამტყუნა მიფინგის საშინელი მოგონება, მერე უნდათ ისეთი ზარბაზანი გააკეთონ, რომელშიაც ჩაიდებოდეს ასი გირვანქა დინამიტი და რომელიც ისროდეს ათს ვერსტზე.

ასეთი ზარბაზნის შემოღებით მართლა უშველებელი რამ ცვლილება უნდა მოხდეს მთელი ქვეყნის სამხედრო საქმეებში.

—

**დათვის ბრძოლა რკინი-გზის მატარებელთან.** საფრანგეთში, იზერის დეპარტამენტში, რკინი-გზის მატარებელმა, უკანასკნელ დროს, გაჭყლიტა ერთი საშინლად დიდი, ზორბა დათვი, რომელიც ალბად შვეიცარიიდამ გადმოსულიყო. თურმე რა წამს დათვმა დაინახა მომავალი მატარებელი, შედგა უკანა ფეხებით ყალხზე, გაიმართა წელში და მოემზადა საომრად—მტრის გულადად დახვედრა უნდოდა, მაგრამ ერთი თვა-

---

სიაში. მაგრამ ჩვენ ის გვაშინებს, რომ ამ ადგილის დასაჭერად ტფილისს აღარ გამოადგება წინანდელი ცხოვრება. ეხლა სხვა ცხოვრებაა საჭირო და სხვა ცხოვრებაც სხვა ნაირს ხალხსა თხოულობს. ამიტომ, ეხლა საქმე ისეა დაყენებული: ჩვენვე ვიფარფაშებთ ტფილისის ცხოვრებაში თუ აქ, ჩვენს დედა-ქალაქის მოედანზე, სხვას უნდა დავუთმოთ ადგილი, ჩვენ კი გავიდეთ განზე და გულ-ხელდაკრეფილებმა შევყუროთ სხვისა ბედნიერებას, დიდებასა და გამრჯელობას?...

***

ტფილისი, როგორც ცენტრი ჩვენი ქვეყნისა, მეტად მარჯვე ადგილია ათას ნაირი მრეწველობისთვის, ათას ნაირი წარმოებისთვის. ბლომა ხალხი, აქეთ-იქით შემაერთებელი რკინი-გზა, მოზდილი მდინარე და სხვანი, ყოველივე ესე აძლევენ ამ ქალაქს დიდს უპირატესობას სხვა ქალაქებზე. აქ ბევრი მარჯვე პირობანი შეერთებულან ერთად, რომ ჩვენი ქვეყნის სხვა და-სხვა ადგილებიდამ მოიყაროს თავი მრავალმა ძვირფასმა მასალამ—მთისამ, ველისამ, ტყისამ და ამ მასალებიდამ კეთდებოდეს ათას ნაირი საქონელი, ფაბრიკებში და ქარხანებში. მერე, ეს გამზადებული საქონელი იგზავნებოდეს სხვა ადგილებში და ქვეყნებში გასასყიდად.

***

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ასრეც მოხდება. უეჭველად ტფილისის მომავალი ეს იქნება. ბევრი ხანი არ გაივლის, რომ ტფილისის მცხოვრებლებს აყრუვებდეს ხმა-მაღალი და მწვიტინა სტვენა მრავალგვარი ფაბრიკების და ქარხნების მილებისა. მაგრამ რამდენადაც ჩვენ ამ აზრზე დარწმუნებულნი ვართ, იმდენად ვიჭვნეულობთ, რომ თითონ ჩვენმა ხალხმავე მოახერხოს ტფილისის ასეთი გამოცვლა, იმდენად ჩვენა ვშიშობთ, რომ ვაი თუ ტფილისის მომავალი ბედნიერება ჩავარდეს სრულებით გარეშე პირთა ხელშიო. აი, ეს გვაფიქრებს ძალიან. ჩვენ არა გვჯერა, რომ ჩვენის მცირე ცოდნით, ერთი ბეწო გამოცდილებით, ჩვენ, რომელთაც, მსოფლიო ალებ მიცემობიდამა და მრეწველობიდამ, არშინისა და სასწორის ანგარიშების მეტი არა გაგვეგება-რა,—არა გვჯერა, რომ ჩვენ მოვაგვაროთ რამ ახალი და დროს შესაფერი საქმე. თორემ თუ კი ერთი ბეწო ნიჭი, ცოდნა და შნო გვქონდეს ამაებში, მაშ ასე ოხრად რად ჩავატარებდით ჩვენს ქონებას, რომელიც ეხლა მაღაზიებში გვილპება უმუშტრობისაგან და გაკოტრებასაც გვპირდება ახლო მომავალში! რად გავეჭირებდით ასე თავს, თუ კი შეგვეძლოს რამე ახალი საქმე!

***

მაგალითებიც თვალ-წინა გვაქვს. რომელი ახალი საქმე გინდათ, რომ ჩვენ გვეთავებინოს. «კონკა» ხომ რა არის, და ისიც კი ვერ ვითავეთ, შეგვეშინდა, ვაი თუ ვიზარალოთო. აგერა მოვიდა ვიღაც უცხო კაცი, რომელსაც თავისი შეძლებით უკანასკნელი ჩვენებური მდიდართაგანი სამჯერ შეჰკრავდა, მოვიდა, უთქმელად აილო «კონკის» გაყვანა, თითქმის სულ ნისიად გადმოიტანა გზის მასალა, გააკეთა და დღეს ნიჩბითა ჰხვეტავს ჩვენსავე ფულებს, რომელნიც უნდა სხვა ქვეყანაში დატრიალდენ და ჩვენ კი უბრალოდ გამოგვეცალონ ხელიდამ.

აიღეთ გინდა ფაბრიკები. ცხონებულმა მირზოევმა გაჰბედა ორთაჭალაში უზარ-მაზარი ფაბრიკის გაკეთება, ჩალუპა შიგ რამდენიმე ასი-ათასი მანათი. მერე?... მერე ისა, რომ რამდენიმე წელიწადი უსაქმოდ ეგდო მაშინა და ჩალუპული ფული არავითარ სარგებლობას არ იძლეოდა. რათა? იმათა, რომ საქმის წაყვანა არ იცოდა პატრონმა და მოგების მაგიერ, ზარალში შედიოდა, მანამ ისევ უცხოელმა კაცმა, ბ. რიშარმა, არ მოჰკიდა ხელი.

მაგრამ განა საჭიროა კიდევ ჩამოთვლა?! საითაც გაიხედავთ, ამასვე ჰნახავთ. ეს ნემეცური ლუდი ხომ ადვილი საქმეა. ამაში მოგებას ხომ ბრმაცა ჰხედავს, მაგრამ აბა რომელმა ჩვენგანმა მოჰკიდა მას ხელი! ულუკმა-პურო ნემეცებმა ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ათასი თუმნები იშოვნეს ლუდზე და ეხლა მდიდართა სიაში ითვლებიან. აგრეთვე კიდევ მრავალი სხვა....

***

ამ მადნეულობის შემუშავებას ხომ ჩვენ ვერას გზით ვერ მოვახერხებთ. ეხლა რამდენიმე პოლშელი კაპიტალისტები ჰკიდებენ ხელს სხვა-და-სხვა მადნეულობის შემუშავებას. ტფილისში აპირობენ უმთავრესი ბინის გაკეთებას მადნეულობის საბოლოოდ შესამუშავებლად, რომ პირდაპირ გამზადებული საქონელი გაიტანონ გასასყიდად ევროპიელს მოედნებზე. ამ პოლშელებს მოჰყვებიან სხვანი, მოითბობენ ხელს, გამდიდრდებიან ჩვენის ქვეყნის სიმდიდრით და ჩვენ კი უნდა საყოველთაო კოტრობა გველოდებოდეს!... ამაზე მეტიღა იქნება!.....

ლის დახამხამებაზე გაისრისა მტრისაგან.

—

**ბედნიერი ქორწილი.** ამ დღეებში ქ. ნიკოლაევში ძალიან კარგი გუნებაზედ იყო: სალო-პარასკო საქმე გაუჩინა მას სამსახურიდამ გამოსულმა ტიტულიარნი სოვეტნიკმა, 80 წლის ხომიჩენკომ, რომელმაც ამ დღეებში გადიწერა ჯვარი 61 წლის ქანწულზე, იაკუმენოვაზე. აბა, ტკბილად ისინი იცხოვრებენ, აი!

—

**ბოშეების მეფე.** გერმანიის მემკვიდრე პრინცი, თავის მოგზაურობაში, გრანადაში შეხედა ერთს კაცს, რომელსაც გამოდიოდა სასტუმროდამ, საუზმის შემდეგ. ამ ამაყმა და მედიდური შეხედულობ კაცმა მეტად გააკვირვა პრინცი, რომელიც დადგა და სიამოვნებით უყურებდა მას. ამანაც შეატყო, რომ პრინცი მას გაშტერებული უყურებს, და დარბაისლურად მოუხადა ქუდი. პრინცმა უბძანა—დაიხურე ქუდიო—და მაინც განაგრძო განცვიფრებით ყურება და სინჯვა ამ მშვენიერი კაცისა. ბოლოს ჰკითხა: «ვინა ხარ შენაო»?—«ბოშეების მეფეო», უპასუხა იმ კაცმა. «ჰო, მაშ მე და შენ თანაბარი კაცები ვყოფილვართო», უთხრა მას ღიმილით პრინცმა.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

16 მარტს.

**ლონდონი.** ლორდი გრენვილი და მარკიზი ჰარტინგტონი გუშინ გლადსტონთან იყვნენ. ამის შემდეგ მინისტრთა რჩევა შესდგა. ამბობენ, ეს საჩქარო მოლაპარაკება იმან გამოიწვია, რომ გორდონის მდგომარეობის შესახებ ახალი საყურადღებო ამბავი მოვიდაო.

**ჩიკაგო.** ამერიკული პურის ვაჭრობა მეტის-მეტად შეარყია თან-და-თან გაძლიერებულმა ცილობამ ინდოეთისამ

**ბერლინი.** ამერიკის ელჩმა სარჯენტმა უარი სთქვა პეტერბურგში ელჩად გადასვლაზე. სარჯენტი სამსახურიდამ გამოსვლას აპირობს და ამერიკაში მიდის. გერმანიის რეიხსტაგმა თავისი სხდომები 10 აპრილამდე გადასდვა.

**სუაკიმი.** გუშინ აქ მოვიდენ ინგლისელების მოწინააღმდეგე თემთა რამდენიმე შეიხები და მეგობრობის სურვილი გამოაცხადეს. ზოგიერთებმა ითავეს კიდეც ოსმან-დიჰმის ტყვედ შეპყრობა. სხვები ბერბერისკენ გზის განთავისუფლებას დაჰპირდნენ.

**კანა.** დღეს უეცრად გარდაიცვალა უმცროსი შვილი ინგლისის დედოფლის ვიქტორიასი—გერცოგი ალბანი.

17 მარტს.

**პეტერბურგი,** წუხელის თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი თბილისისკენ წამოვიდა.

**ლონდონი.** გერცოგი ალბანი განაში კლუბის კიბიდამ ჩამოვარდა და ეს იყო მიზეზი იმის სიკვდილისა. ორივ პალატაში ოპოზიციის მოთავეთ ამ ამბის შეტყობინების შემდეგ გულითადი მწუხარება გამოაცხადეს.

**კაირი.** ნილოსის გასწვრივ აჯანყებულები თან-და-თან ახლოვდებიან. ამას წინად განახლებული ტელეგრაფით მიწერ მოწერა ბერბერსა და შენდის შორის ხელახლავ შესწყდა. აჯანყებულთა რაზმები თვით ბერბერის ქვემოდაც გამოჩნდენ და საშიშია, რომ არ მოსჭრან ამ უკანასკნელი ქალაქიდამ ეგვიპტისკენ მიმავალი გზა.


# განცხადებანი

—

ვსთხოვთ დრამატიული საზოგადოების წევრებს მობძანდენ საზოგადო წლიური კრებაზედ ანგარიშის მოსასმენათ ახალი წევრების ამოსარჩევათ და სხვა და სხვა საქმეების განსახილველად 22-ს მარტსა საღამოს შვიდ საათზედ (7) წერა-კითხვის საზოგადოების ზალაში სვიმონსონოვის ქუჩაზე ნაზაროვის სახლში.

თავმჯდომრის ამხანაგი.
აკაკი წერეთელი.

(3—1)

დროებითი გამოფენა.

სახელოვნო ნაწარმოებათა.

ფასი შესვლისათვის . . 20 კ.
მოსწავლენი იხდიან . . 10 კ.
სამშაბათობით ყველასთვის 50 კ.

ერევნის მოედანი, სახლი ჯაყელისა. (1—1)

«ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მმართველობა სთხოვს საზოგადოების დამფუძნებელთა და ნამდვილ წევრთ წარმოგზავნონ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1883 წლისა პირველთ 20 მან. და მეორეთ—ექვსი მანათი ან საზოგადოების ხაზინადარის ბ-ნ გ. დ. ქართველიშვილის სახელობაზე (Михаиловская улица, собственный домъ), ან საზოგადოებისავე სამწერლოში (Симонсоновская улица, за 1-ою Классическою Гимназiею, подъ редакцiею газ. «Дроэба»). (10—4)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, იდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, ქუნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიკები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკოტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—82)

აბრეშუმის ჭიის თესლი, (№ 90),

კარგი ყვითელი პარკის ჯიშისა, პასტიორის სისტემაზედ მომზადებული და საფრანგეთის პირველი ფირმებისაგან მიღებული. მისხალი იყიდება ერთ მანათად, იქვეა ნუხის თესლი, მისხალი ათ შაურად.

ადრესი: ბ. ღერისიეს, ფრეილინის ქუჩა № 8, არტაზოვის სახლი, ანუ ლუის მაღაზია. (5—3)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, ქუნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—98)

PAPIER RIGOLLOT

БУМАГА РИГОЛЛО

ГОРЧИЦА НА ЛИСТАХЪ ДЛЯ СИНАПИЗМОВЪ

ПРИНЯТАЯ ВЪ ПАРИЖСКИХЪ ГОСПИТАЛЯХЪ

ВЪ ВОЕННЫХЪ БОЛЬНИЦАХЪ, ВЪ МОРСКОМЪ ФРАНЦУЗСКОМЪ И АНГЛIЙСКОМЪ КОРОЛЕВСКОМЪ МОРСКОМЪ ВѢДОМСТВАХЪ

Единственное средство, ввозъ котораго дозволенъ въ Имперiю медицинскимъ совѣтомъ.

Принимайте за *НАСТОЯЩУЮ* БУМАГУ РИГОЛЛО лишь ту, листы которой имѣютъ поперегъ сiю подпись **красною** краской.

F. Rigollot

*Продается во всѣхъ аптекахъ.*

ГЛАВНОЕ ДЕПО
24, Avenue Victoria
PARIS
Въ Парижѣ.

(32—2)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქიმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. ა სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—64)